სახალხო გაზეთი

№ 545 პარასკევი, 9 მარტი, 1912 წ. № 545

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ტელეფონი № 12-29.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

(სურათებიანი დამატება)

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** **გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ქუთაისში, 5 მარტს, გარდაიცვალა

თავადი ჯამბაკურ დავითის ძე გურიელი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დები, ძმები, ძმისწული და დისწულები. დაკრძალვა დანიშნულია ქ. ქუთაისში კვირას, 11 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე. (1—1).

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლი

სთხოვს თელავის მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ 11 მარტს შუადღის 12 საათზე ქ. თელავში თავად-აზნაურობის ჩვეულებრივ

სამაზრო კრებაზე,

სამხედრო საკრებულოს დარბაზში,

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც აქვთ საარჩევნო ცენზი და აგრეთვე ცენზი თავად-აზნაურთ საქმეებში მონაწილეობის მიღებისა, კეთილ ინებონ და ამისი დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2.1139.2)

ხონის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების პატივცემულ წევრთ, რომ მობრძანდნენ და დაესწრნენ **18 ამ თვეს, 11 საათზე, ხონის პროგიმნაზიის შენობაში წლიურ კრებაზე,** შემდეგ საგნების განსახილველად: 1) განხილვა და დამტკიცება 1911 წ. ანგარიშისა. 2) მოგების განაწილება 3) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 4) საკუთარ შენობის აგების საკითხი. 5) არჩევნები: გამგეობის ერთი წევრისა, სამი—საბჭოსი და 3) სარევიზიო კომისიისა, თავიანთი კანდიდატებით. 6) სხვ. და სხ. კითხვები. (3.1137.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—288)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—172)

ქართული თეატრი

10 მარტს ქართულ თეატრში გაიმართება **სალიტერატურო საღამო,** შემდეგის პროგრამით:

I

მ. წულუკიძე. წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სკულპტურა და მხატვრობა დასავლეთ ქვეყნებში“.

II

ივანე გომართელი წაიკითხავს მოთხრობას. **ახოსპირელი**—ლექსს. **გ. დიასამიძე**—მოთხრობას. **გიორგ. ამირეჯიბი**—მოთხრობას, **კ. ჯაფარიძე**—ლექსი პროზათ,

III

ა. წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ახალგაზდა პოეტი **ნოე ჩხიკვაძე**“ ქუჩიშვილი ლექსი. ს. აბაშელი ლექსი. ბებიაშვილი ლექსი. ირეთელი წაიკითხავს ამ საღამოსთვის საგანგებოდ დაწერილ სატირას.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გამგე ბ. ბეგლარაძე. (5—1142—4)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

კვირას 11 მარტს 1912 წ.

კაპელდინერების სასარგებლოთ ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

რუსთაველი

ისტორ. დრამა 4 მოქ. კ. მესხისა.

არც აქეთ, არც იქით.

ვოდევ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი,

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, ლეჟავა, ნებიერიძე. ბ-ნნი აბაშიძე. არადელი, აბდუშელი, ივანიძე, გუნია. მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი მზადდება: ორი ობოლი. რეჟ. კ. მესხი. ადმინისტ. ვ. გუნია.

3—288—1

ახალი კლუბი

პარასკევს, 9 მარტს 1912 წ.

სინემატოგრაფი

ს. ო. ივანიცკაიასი.

დასაწყისი სწორედ საღამოს რვა საათზედ.

სინემატოგრაფის შემდეგ იაფ-ფასიანი **ლოტო.**

ანონსი: კვირას, 11 მარტს, დილით 12½ საათზე **უფასო კონცერტი მოსწავლეთათვის.** (1—1149—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

შაბათს, 10 მარტს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცხოვრების გარეშე

დრამა 4 მოქ. ვ. პროტოპოპოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გამრეკელი-ტორელი, ბეჟანოვა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი, ე. ციმაკურიძე, ბ. ა-იაშვილი, ბ-ნნი კ. ხახანაშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ანაშვილი, გ. ფრონის-პირელი, ს. სანდალა, ინაშვილი და ჭანკვეტაძე. ადგილების ფასი 5 კაპ.—50 კაპეიკამდე. დასაწყისი 8 საათზე. ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

(3—1006—2)

ქ. ქუთაისი (ქალაქის თეატრი). **კვირას, 11 მარტს,**

ი. გრიშაშვილის თაოსნობით გაიმართება საღამო-მეჯლისი

სამ განყოფილებად:

1) **კიტა აბაშიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე,

(პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი).

2) წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს:

აკაკი, დავ. კლდიაშვილი, ჭ. უმბაძე, ცახელი, **დ. მესხი,** ქ-ნი **ნ. ჩარექოვისა, ნ. ლორთქიფანიძე,** ეშმაკის მარჯუ წაიკ. №, **ს. აბაშელი, ვ. რუხაძე, ჯ. ჯორჯიკია, ტაბიძე, გუცა, სილოვანის** ლექსს წაიკითხავს—**ი. ზარდალაშვილი, ი. გრიშაშვილი.**

3) ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ ახალ სცენებს: **ნ. გოცირიძე**—სომხურს. **ვასო ბალანჩივაძე**—იმერულს. **მ. ნემო**—ებრაულურს, **ვას ურუშაძე**—გურულს. **ა. ყალაბეგაშვილი**—გლეხურს. **ი. გრიშაშვილი**—კინტოურს. დასასრულს იმღერებენ „ვაივუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში **დასაწყ. საღამოს 8 საათზე.** (4.1148.2)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** **ახალ პატრონთა ხელში გადასული**

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდები გოც ს. საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—1132.8)

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლის თანამდებობის

ამასრულებელი.

სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურობას მობრძანდნენ 11 მარტს შუადღის 12 საათზე დუშეთში სამხედრო საკრებულოს დარბაზში, თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ

სამაზრო კრებაზე.

იმ თავად-აზნაურთ! რომელთაც აქვთ საარჩევნო ცენზი და აგრეთვე ცენზი თავად-აზნაურობის საქმეებში მონაწილეობის მიღებისა, კეთილ ინებონ და ამისი დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2.1138.2)

სავაჭრო სახლი

ლ. და ე. მეტცლი და ამხ.

განცხადებათა ცენტრალური განყოფილება

(1878 წ. დაარსებული)

მოსკოვში

ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.

ამით აცხადებს

რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის

ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება

ქალაქ ლოძში.

პეტროვის ქ., 102. (10—130—7)

ქ. შ. წ.-კ. გამ. უმთავრეს საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

თხზულ. ე. გაბაშვილისა 1 მ. 20 კ.

ილია ჭავჭავაძის შემდეგი წიგნები:

კაცია-ადამიანი?!	20 „
გლახის ნაამბობი	20 „
ოთარაანთ ქვრივი	18 „
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3 „
სახრჩობელაზე	5 „
მგზავრის წერილები	7 „
გლეხთა განთავისუფლებ. პირველი დროის სცენები	7 „
უცნაური ამბავი	4 „
რჩეული ლექსები	7 „
განდეგილი	5 „
კაკო ყაჩაღი	5 „
დედა და შვილი	3 „
დიმიტრი თავდადებული	7 „
აი ისტორია	35 „
ცხოვრება და კანონი	25 „
კრიტიკული წერილები	25 „
პოლემიკური წერილები	10 „

ახლად შემოსული წიგნები:

ოცნება, **აკაკისა**	10 „
ორი მხატვარი, ნათარგ. ავალიანისა	15 „
დალი, დრ.მა 3 მოქმ. გლახაშვილისა	20 „
სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟა-ფშაველასი	15 „

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება.

ადრესი: Тифлисъ Книжный магаз. О ва распр. грамот. ср. груз. населенія. (წ.—1141—5)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.27)

კავკასიის პირველი საპარიკ-მახერო ამხანაგობა

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ

გახსნეს მეორე განყოფილება. მიხაილოვის პროსპექტზე, ტერ-აკოფოვის სახლში, „ამხანაგობა პროვოდნიკის“ გვერდით, სადაც მუშაობენ საუკეთესო ხელოსნები, ექვსი კაცის მუშაობა სრულდება ისე როგორც მთავარ სახელოსნოში, ყველა ხელსაწყოსა და ინსტრუმენტს დეზინფენქციაში ატარებენ ყოველ ხმარების შემდეგ. ყველა მუშაობა, სრულდება სუფთად და კარგად, როგორც კაცებისა, ისე ქალებისაც.

პატივისცემით ამხანაგები: **ვანო მუნჯიშვილი, აბრამ ბიბილური, ზაქარია კობაძე.**

1—289—1.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და **დიდუბის მომავალ ხიდის** მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 254)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო- 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.107)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 95).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“.

(წლ. 1090 291)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 124)

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—18)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—112).

ექიმი ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ციხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—11).

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი **პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 საღამოს 5--7. (25.1045.64).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—43)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფა. პირდაპირ. (25—249—16)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—53.

პასუხი

ბ. მიხეილ მაჩაბელს.

ბ. მიხეილ მაჩაბელი საბუთებსა მთხოვს. როდის იყო, რომ ქართულ ლიტერატურის წინააღმდეგ ვილაშქრებდი და როდის და სად დავამცირე ილია ჭავჭავაძის სახელიო.

ამაზე მოვახსენებ ბ. მიხ. მაჩაბელს, რომ „ფილიპპიკები" ქართულ მწერლობის წინააღმდეგ პირადად მე მომისმენია ამ ორიოდე წლის წინედ სათავად-აზნაურო ერთ-ერთ კრებაზე. ეს ის კრება იყო, სადაც, სხვათა შორის, ბ. მაჩაბელმა ქართველი გლეხი „ავაზაკად" მონათლა და სადაც ამ შეურაცყოფელ ეპიტეტის გამო ერთმა წევრმა, თუ არა ვცდები, ბ. ხრამელაშვილმა, ცხარე პროტესტი გამოაცხადა. და აი სწორედ ამ კრებაზედვე, როდესაც ჩამოვარდა ლაპარაკი (აღარ მახსოვს რის გამო) ქართულ პრესის შესახებ, ბ. მაჩაბელმა წარმოსთქვა მედიდურად: რა პრესა, რის პრესა, ქართული ლიტერატურა დიდი ხანია აღარ არსებობსო.

საუბედუროდ, სტენოგრაფიული ანგარიშები ჩვენში შემოღებული არ არის, რომ გადაუშალო და ვაჩვენო ბ. მაჩაბელს მისი ნალაპარაკევი. მაგრამ, თუ ბ. მაჩაბელი ცოტათი მაინც მეხსიერებას ძალას დაატანს და გაიხსენებს იმას, რაც სთქვა და რაც ჩემს გარდა. ბევრმა სხვამაც გაიგონა, ამ ჩემს მოწმობას არ უარჰყოფს და უტყუარ საბუთად მიიღებს.

რაც შეეხება მეორე საკითხს — ილია ჭავჭავაძის დამცირების საკითხს, აქ მე გვერდში მიდგება გაზ. „დროება". 1909 წლის 2 დეკემბრის მეთაურ წერილში ვკითხულობთ: „სიტყვა, წარმოთქმული ბ. მიხ. მაჩაბლის მიერ პეტერბურგში რუსეთის თავად-აზნაურთა ამომრჩეველთა წინაშე, მოულოდნელი არ იყო. ბ. მაჩაბლის პოლიტიკური იდეალები არავისთვის დასამალი არ არის. იგი არც მალავს თავის იდეალებს, ყველგან და ყოველთვის საჯაროდ აღიარებს მათ... მაგრამ ბ-ნ მაჩაბლის სიტყვამ სხვა მხრივ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ბ-ნი მაჩაბელი შეეხო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას და მისი პოლიტიკურ აზროვნების დახასიათებაც იკისრა. ყველამ იცის, რომ ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენენი უნდობლობის თვალით უყურებდნენ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როდესაც იგი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი აღმოჩნდა. და ამ საკითხის გარჩევის დროს თავისი კენჭი მისცა სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეთ სახელმწიფო საბჭოში. ასე რომ უნდობლობა მემარჯვენეებისა სრულიად საფუძვლიანი იყო, რადგან მათთვის აშკარა შეიქნა ის დიდი იდეიური და ზნეობრივი განსხვავება, რომელიც არსებობდა ილია ჭავჭავაძისა და მათ შორის"...

„ამომრჩეველთა წინაშე ჯერ ბ-ნ მარკოვს ულაპარაკნია. დაწვრილებით არ ვიცით, რა სთქვა ამ ცნობილმა მემარჯვენე დეპუტატმა. ბ. მაჩაბლის სიტყვიდან კი აშკარაა, რომ მარკოვს გაუკიცხავს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სახელმწიფოს საბჭოში. ბ. მაჩაბელი აღელვებულა ამ სიტყვით და ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაცია მოუნდომებია რუსეთის თ.-აზნაურთა ამომრჩეველთა წინაშე.

„როგორ,—უთქვამს ბ. მაჩაბელს, —ნუ თუ დასაჯერებელია, რომ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს საუკეთესო შვილი, ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელი... იმათ გუნდში ყოფილიყო, ვინც მოქმედებდა სახელმწიფოს და ჩვენი საერთო სამშობლოს მტერთა შორის... არა მჯერა, და არც ერთი ქართველი არ დაიჯერებს... ხმა მაღლა ვაღვიარებ, ქართველ თავად-აზნაურთა არჩეული სახელმწიფოს მტერი არ იყოო", (კურსივი ჩვენია) ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს, გული მოულბეს რუსეთის თავად-აზნაურებს"...

„რუსეთის შავ-რაზმულ წრეების პოლიტიკურ ფილოსოფიის მიხედვით, განაგრძობს გაზეთი „დროება", „სახელმწიფოს მტრად" გამოცხადებულია ყოველი ადამიანი, ვინც კი მომხრეა რუსეთში კონსტიტუციის და პარლამენტისა... სახელმწიფოს და სამშობლოს მტერთა გუნდში მან მოაქცია აგრეთვე ფინლანდიელები, ებრაელები, პოლონელები და, საზოგადოდ, ყველა „ინოროდცები". და როდესაც ბ-ნი მარკოვი ან პურიშკევიჩი ლაპარაკობენ სახელმწიფოს მტრებზე, ხსენებული პარტიები და ერები ჰყავთ მხედველობაში. **და დღეს იმასაც შევესწარით, რომ მარკოვების და პურიშკევიჩების დასამშვიდებლად და დასაკმაყოფილებლად დავამცირეთ შეურაცხვყავით საუკეთესო ქართველთაგანი, რომელიც, მართალია, ერთგული იყო ტახტისა, მაგრამ ამასთანავე მომხრე დემოკრატულ კონსტიტუციის დამკვიდრებისა, მომხრე იყო აგრეთვე რუსეთის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ავტონომიისა...** (კურსივი ჩვენია) მარკოვის კლასიფიკაციით იგი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მტერთა გუნდში უნდა ჩარიცხულიყო. და აკი კიდევაც ჩარიცხეს იგი ამ გუნდში რუსეთის შავ-რაზმელებმა. ბ. მაჩაბელი კი, რომელსაც უნდოდა ამ შავრაზმელების გულის მოგება, არ მოერიდა სიცრუეს, მოატყუა ამომრჩეველნი, ფიქრი ნუ გაქვთ, ილია ჭავჭავაძე პარლამენტის და რუსეთის დეცენტრალიზაციის მომხრე, ე. ი. სამშობლოს და სახელმწიფოს მტერი არ იყო, არამედ ერთგული მიმდევარი რუს-კავშირის მოღვაწეებისაო.. (დროება, 1909, № 268):

საყურადღებოა, რომ თვით გაზეთ „ზაკავკაზიეს" ერთი თანამშრომელი, ბ. კანი აღშფოთებულია მარკოვის სიტყვებით, ხოლო ამასთან ბ. მაჩაბელს კი იგი ივიწყებს და არავითარ ბრალს ილია ჭავჭავაძის დამცირებაში არა სდებს, ამის გამო „დროების" შემდეგ ნომრის მეთაურში ვკითხულობთ: „ბ-ნი დ. კანი შეძრწუნებულია, აღშფოთებულია. ილია ჭავჭავაძე ხომ მაქსიმ კოვალევსკის და კუზმინ-კარავაევთან ერთად მოქმედებდა და განა შესაძლებელია იმისი თქმა, რომ ეს უკანასკნელნი „ხელმწიფის გვირგვინსა სწვდებოდნენო". მართალია, ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ ხომთვით პროფ. ტაგანცევია. მაშ ნუ თუ ტაგანცევიც მტერია სახელმწიფოსი". ასე ჰგოდებს დ. კანი ბ. მარკოვის უსამართლო ბრალდების გამო"..., „მაგრამ, ბატონებო, სამართლიანად დასძენს „დროება", **ბ-ნი მაჩაბელი რატომ დაივიწყეთ და ერთი სიტყვითაც არ გაჰკიცხეთ იგი იმის გამო, რომ მისის აზრითაც, თანახმად ბ. მარკოვის აზრისა, სახელმწიფო მტერთა გუნდში ჩაირიცხება ყოველი ადამიანი, ვისაც წუნს პურიშკევიჩი და მარკოვი დაუდებენ; არ გაკიცხეთ არც იმის გამო, რომ ბ-ნმა მაჩაბელმა არა სთქვა რა მარკოვის წინააღმდეგ და მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე დაეყვავებინა მარკოვი, გაეყუჩა მისი შავრაზმული წყრომა ილ. ჭავჭავაძისადმი და დაერწმუნებინა, რომ მარკოვი, მაჩაბელი და ჭავჭავაძე ერთ სულ და ერთ ხორც არიანო".** (კურსივი ჩვენია, „დროება", № 269).

ამგვარი მსჯავრი დასდო ბ. მიხ. მაჩაბლის საქციელს ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ამ ფაქტების გახსენებაზე ბ. მაჩაბელი, იმედია, აღარ მომთხოვს ბოდიშის მოხდას მის წინაშე და თუ სამართლიანობის გრძნობა დახშული არა აქვს, იტყვის: შევცოდე, მაპატიეთ.

არჩილ ჯორჯაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად რუსის ნაციონალისტების კრება მოხდა. ბევრი რამ საყურადღებო გამოირკვა ამ კრებაზე, რომლის შესახებაც ჩვენი მკითხველებისათვის კარგად ცნობილი ნ. დურნოვო „ს.—პეტერბ. ვედ."-ში სწერს:

„ნაციონალისტები,—ამბობდა ბალაშოვი კრებაზე, შოვინისტები არ არიანო; განაპირა ქვეყნებმა უნდა მიიღონ თვითმმართველობა, შეზღუდულ უფლებებით და რუს მცხოვრებთა ინტერესების უზრუნველყოფითაო იქ, სადაც სეპარატისტული მისწრაფებანი არსებობს, უფლება და ძალა რუსებს უნდა ეპყრათ ხელში".

ეს უკანასკნელი წინადადება არ მოსწონს დურნოვოს და ამბობს, იგი ნაციონალისტების იდუმალ გულის ზრახვას ამჟღავნებსო.

„მოსკოვისა, პეტერბურგისა და კიევის კათედრების მისაღებად,—სწერს დურნოვო,—საქართველოს ეგზარხოსები ქართველებს ყოველთვის სეპარატიზმს აბრალებდნენ".

კარიერისთვის ასეთი ბრალდების გავრცელება სასარგებლოა, და ეგზარხოსებიც ავრცელებენ ამ ბრალდებასაო.

„რუსის სასულიერო ადმინისტრაცია კი საქართველოსა და ბესარაბიაში გუბერნატორსა და სამართალზე ძლიერია".

იმის შემდეგ დურნოვო ეხება ნაციონალისტთა აზრს რუსის ხალხის გაბატონების შესახებ და ამბობს, ასეთი მოთხოვნა უსამართლობაა, რადგანაც რუსეთი შექმნეს არა მარტო რუსებმა, არამედ არა რუსებმაცაო.

„ჩვენ ვერ გაგვიგია,—სწერს დურნოვო,—რუსის გლეხი რად უნდა იყოს ბატონი და ქართველებმა, ლიტველებმა, ლატიშებმა რად უნდა დაუთმონ რუსებს მიწა-წყალი, თავისი სისხლითა და ოფლით მორწყული? ვერ გაგვიგია, ნაკლებად განათლებული რუსის ეპისკოპოსები რად უნდა ჰბატონობდნენ ქართველ და მოლდავანთა ეპისკოპოსებზე? სათათბიროს კამათიდან მაინც უნდა ხედავდნენ ნაციონალისტები, როგორ სდევნიან რუსის ეპისკოპოსები ქართველებსა და მოლდავანებს, რას [illegible]?"

„დღემდის „ინოროდცები" აღიარებდნენ რუსეთის მთლიანობას, სეპარატისტული მოძრაობა ზოგიერთს მათგანში მხოლოდ იმიტომ დაიბადა, რომ ჩვენ ყველა არა რუს ვსდევნიდითო, სწერს დურნოვო.

„გაბატონებულ" ერს,—სწერს დურნოვო,—არა რუსთა კულტურული ძალები რომ არ განედევნა თავის სამშობლოდან, არ შეევიწროვებინა ქართველები, მოლდავანები, იმათ მიწა-წყალზე რომ რუსები არ დაესახლებინა, არარუსები უპიროვნოდ რომ არ ექცია, თვითოეული მათგანი სიყვარულით გაიმსჭვალებოდა რუსისადმი და რუსეთის მონარქია ყველა არა რუსთათვისაც საყვარელი იქნებოდა.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.

საიდუმლო სხდომაზე მესამედ განიხილეს სამხედრო ბეგრის წესდების ცვლილებათა კანონ-პროექტი. მეთექვსმეტე მუხლში სამხედრო სამინისტროს შესწორება შეიტანეს, რის ძალითაც სამსახურში მიიღებენ 2 არშ. და ნახევარი გოჯის სიმაღლის ახალგაზდათ. ამავე სამინისტროს წინადადებით უარჰყვეს მე-18 მუხლის შენიშვნა. იგი მოითხოვდა, ოჯახის მდგომარეობის შესახები შეღავათი მხოლოდ 1918 წლამდე მოქმედებსო. ოცდა მეხუთმეტე მუხლი შეეხება ექიმებისა და ფარმაცევტების სამხედრო სამსახურს.

შინგარიოვმა მოითხოვა მეორე განხილვის დროს უარყოფილ კადეტების შესწორების მიღება. შინგარიოვი მოითხოვს ექიმებისა, პროვიზორებისა და ბეითლების უბრალო ჯარისკაცად სამსახურისაგან განთავისუფლებას. შინგარიოვს მიემხრო გარუსევიჩი.

ნოვიცკი მე-2 მომხრეა კომისიის რედაქციისა.

სინადინოს არა სასურველად მიაჩნია მუხლის მიღება. ექიმებისა და სხვათა სამსახური არა ნორმალურ ურთიერთობას შექმნის მათსა და ჯარის უფროსებს შორის, რუსეთი იმდენად მდიდარი არ არის მედიცინის დოქტორებით, რომ სართო ფელშრის მოვალეობა აასრულებინოთ. შინგარიოვიც ემხრობა ავტორის აზრსა.

გუჩკოვი. ინტელიგენტებში ყველაზე კარგ მდგომარეობაში ექიმები იქნებიანო. სხვა საინტელიგენტო პროფესიის წარმომადგენელნი იძულებულნი იქნებიან 24 თვის განმავლობაში ხელში თოფით იმსახურონ, ექიმებს კი მარტოოდენ 4 თვეს მოუხდებათ სამსახურიო.

სამხედრო მინისტრის თანაშემწემ აღნიშნა, სამხედრო ექიმებს სამხედრო უწყება ექვემდებარებათ მთლად და, როგორ შეიძლება უფროსმა გამოცდილებით არ იცოდეს ჯარის კაცის ცხოვრება.

სინაეინო. ექიმების 4 თვის სამსახურის წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ ძლიერ შავ საქმეს ნუ დააკისრებთო.

ტიმოშკინი მომხრეა მუხლისა.

როდიჩევი კადეტების შესწორებას გამოესარჩლა. შესწორების წინააღმდეგნი არიან **კრუპენსკი** და **ლერხე** [illegible] კადეტების შესწორება [illegible] მიიღეს.

[illegible] მუხლში სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულ პირთა აღნიშნავს.

კამენსკი ვისაც სარწმუნოებისაგან აკრძალული აქვთ იარაღის ხმარება და სისხლის ღვრა, ჯარში სამსახურისაგან უნდა განვათავისუფლოთო. კამენსკის მიემხრო **ბორატინსკი.**

ვორონკოვმა და შინგარიოვმა მოითხოვეს სახალხო სკოლათა მასწავლებლებისა, „სტაროობრიადცების" და სხვა სექტების სასულიერო პირთა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ლიკოშინი წინააღმდეგია ყოველგვარ შესწორებისა.

თ-დმა ტენიშევმა მეტი ლმობიერება მოითხოვა სარწმუნოებისადმი. არ უნდა დასჩაგროთ ჯარის-კაცი, სარწმუნოება არ უნდა შეუგინოთ, მოწამედ არ უნდა აქციოთო.

ტიმოშკინი წინააღმდეგია შესწორებისა.

საღამოს სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობდა.

წაიკითხეს კადეტების სასწრაფო შეკითხვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესადმი, შეკითხვაში ნათქვამია, უმაღლეს მთავრობის დასტურებლად წარდგენილი დებულება მინისტრთა საბჭოსი, რომელიც ნებას აძლევს იმ ადგილთა გუბერნატორებს, სადაც განსაკუთრებული წესები არ არის, სავალდებულო დადგენილებაში გამოსცენ, ძირითად კანონების 68 მუხლს ეწინააღმდეგებაო.

მეორე სასწრაფო შეკითხვა მიართულია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი: გენერალ-გუბერნატორებმა და ოლქის უფროსებმა თანამდებობის უფლებათა აღმამატებელი დადგენილებანი გამოსცესო.

გერასიმოვმა რუსეთის მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა აღნიშნა. 30 წელიწადია რუსეთში საერთო კანონი აღარ მოქმედებს, ყველაფერი გუბერნატორებზე და ქალაქის უფროსებზეა დამოკიდებული. გუბერნატორები იქამდე მივიდნენ, რომ სამინისტროს მიერ 1909 წელს გამოცემულ განკარგულებასაც აღარ ასრულებენო.

ტიმოშკინს შეკითხვა კადეტების საარჩევნო ხრიკად მიაჩნია და დასძენს, შემკითხველებს კანონების არა გაეგებათრაო (იცინიან).

შეკითხვის სწრაფად განხილვის საჭიროება უარჰყვეს 102 ხმით 68 წინააღმდეგ. შემოიტანეს წინადადება, კომისიას მოხსენებისათვის ორი კვირის ვადა მივცეთო.

მიტიუნინის წინადადებით ვადა დაენიშნა 15 აპრილი.

მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„მესამოციანნი"

ნაწილი მეორე *)

(„დროება" 1866—1876 წ., „მნათობი" 1869—1872 და „კრებული" 1871—1873 წ.)

V

წინა წერილში, სხვათა შორის, გვქონდა საუბარი ხელოვნების და ესთეტიკის შესახებ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს მწერლობაშიაც იყო წადილი ესთეტიის წინააღმდეგ გალაშქრებისა. ახლა უნდა ვსთქვათ, რომ ამ წადილმა თავის საწადელს ვერ მიაღწია, და ჩვენს ლიტერატურაში თანდათან ვრცელდება და მყარდება საღი შეხედულება ხელოვნებაზე. აი რამდენიმე ნიმუში, რომლის გარკვევა მოგვცემს ხელთ უტყუარ საბუთებს.

„დროება"-ში დაიბეჭდა მიუნხენიდან გამოგზავნილი სერია ფელეტონებისა უცნობ ავტორისა. წერილების სათაური—„ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში". ავტორის მოწმობით, მას ლესინგის და ტენის აზრებით უხელმძღვანელებია ესთეტიკურ თეორიის შემუშავების დროს. ასე რომ იმთავითვე აშკარაა, რომ აქ უკვე არავითარი ადგილი არა აქვს ეგრედ-წოდებულ „პისარევშჩინას". ლესინგის ხელოვნებათა კლასიფიკაციის პრინციპი დიდი შეძენაა ხელოვნების ფილოსოფიისათვის. ხოლო ტენის ცდა „მშვენიერების" გაგებისა ისტორიულ და გარემოცულ პირობების შესწავლის მიხედვით ერთი დიდი ნაბიჯი იყო ესთეტიკის სისტემაში. მართალია, ტენმა სავსებით ვერ გაარკვია ესთეტიკური შემოქმედების ფენომენი,—თვით პროცესსი შემოქმედებისა დარჩა მისთვის მიუწვდომელი,—მიუხედავად ამისა, ტენის მეთოდი არის საუკეთესო მეთოდთაგანი, ხელოვნურ ნაწარმოების, ასე ვთქვათ, ხილულ და ხელ-შესახებ მხარის გაგება-განმარტებისათვის.

ჩვენი უცნობი ავტორი ეძებს საფუძველს ნაციონალურ ხელოვნებისას. იგი ამბობს: „ყოველ-გვარი პოეზია (ლირიკული, ეპიური და დრამატიული) არის ხალხის პოეზიაშიაც, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში: ბუნებითი ლექსიცა (ლირიკა), ბუნებითი მოთხრობაც (ეპიკა) და ბუნებით ბრძოლაცა თავის ნებასთან, ვნებებთან და გარემოებებთან (დრამა); —და ხელოვნებითი პოეზია, ლირიკა, ეპიკა და დრამა, ნამდვილი ნაციონალური იქნება მაშინ, როდესაც საფუძველი ხალხის ბუნებითი პოეზია ექნება". (№ 8, 1970). ავტორს „ნაციონალურისა "არ ეშინიან. მისის აზრით „რომელსამე თხზულებას მაშინ ექნება კოსმოპოლიტური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც იგი ნამდვილ-ნაციონალური იქნება. არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტური თხზულება იმავ დროს ნაციონალური არ იყოს". (ibid). როგორ აფასებს ავტორი ჩვენს ეროვნულ პოეტებს? მესამოციინებში ადვილად შეიძლებოდა ზურგის მობრუნება ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზისაათვის. მას ხომ განსაკუთრებულ „მგრძნობელობის" ხასიათი ბიჰქონდა. მაშინ კი იყომეფობა გონებისა და სარგებლობისა. მაგრამ ჩვენს ავტორს სამართლიანი სიტყვა მოუნახავს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზის დახასიათებისათვის. იგი ამბობს: „რასაკვირველია, „სიყვარული" და ამისთანები დიალ პატივსაცემი და შესხმის ღირსი საგანია, მეტადრე იქ, სადაც სიყვარული ჯერ ისევ ინდოელ დეკანოზებსავით (ბრამინებსავით) დიდ მომაკვდავ ცოდვად და ზნეობის შემარყეველ გრძნობათ მიაჩნიათ; იქ რომ ამ სიყვარულს შემღეროს პოეტმა და ღრმად ჩანერგილ კაცის გულში სიცოცხლის უტკბილეს და უმანკო ხმის დაცემული ღირსება აღადგინოს, საძაგელი, კაცის დამამცირებელი უმეცარი ჰაზრები ამ გრძნობის შესახებ შემუსროს და შეარცხვინოს,—ეს დიდი მოვალეობის ასრულებაა, რასაკვირველია, დიდი საქმეა პოეტისაგან და დიდ პატივის ცემას და მადლობას მოითხოვს ჩვენგანა. მაგრამ... ქლეხში სიმღერა ისეთივე სასაცილოა და საზარი, როგორც ქორწილში ტირილი დ გლოვა" (№ 2). საქართველო იმ დროს ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ, ავტორის აზრით, სხვა გვარი ჰანგი იყო საჭირო. „ვისაც ხალხის წინამძღოლობა და ბელადობა ჰსურს, ამბობს იგი, უნდა იცოდეს სად, რა დროს, რა არის საჭირო, მისწრება და მალამო". (ibid) ეს ასეა, მაგრამ პოეტი რომ ამგვარი ბელადი ყოველთვის არ არის? პოეტს ხშირად სწორედ რომ „გლოვის დროს" მოსწყურდება ხოლმე ლხინი და ქეიფი, იქნება ღრმა სევდის გასაქარვებლად, იქნებ თავის სისუსტის დასაფარავად, ან კიდევ ვინ იცის რად! ჩვენი ავტორი ლმობიერია, მზად არის აღიაროს ნიჭიც და ექპრესია ამგვარ პოეტურ ნაწარმოებისა, მაგრამ მესამოცე წლების აზრი და მოთხოვნა მასში იმდენად ღრმად არის ჩანერგილი, რომ იგი მოწადინებულია პოეტებს მოსთხოვოს ანგარიში ძველი თაობის შეცდომებისა და ძველი რეჟიმის უვარგისობისა, იგი ამბობს: „ეს „ფერხულისა და სამაიას" პერიოდიც გავიდა. ყველიერისა და ბერიკაობის დროც მალე განქრა: დაიწყო დიდი მარხვა. პირველმა შავმა ორშაბათმა ისევ ისე ყაბულფლავისა და ერბოკვერცხების ჭამაზედ თავს დაათენა ამ მხიარულ საზანდრებსა, და ყეენმა ხარჯი და ანგარიში მოსთხოვა წინაპართ და იმათ საკუთარ შეცდომებისა, ამგვარად ბედის და ისტორიის საშინელ სამსჯავროს წინ წარსდგნენ მოუმზადებელი, ქალწულებრივ კილოზედ მკვნესარე პოეტები და მიიღეს ღირსეული სასჯელი მხცოვანებისა, განძლომისა და ფუფუნებისათვის". (ibid). მსჯავრი სამართლიანია, მაგრამ ცალმხრივი, იგი თითქოს რეალურ ნიადაგზეა დამყარებული. მაგრამ აქ, როგორც ყოველთვის ამგვარ კრიტიკულ მსჯელობაში, ყალბი ფსიხოლოგიური მეთოდია ნახმარი. ნაგულისხმევია, ვითომ ამა და ამ გარემოებას და პირობას შეუძლიან წარმოშობოს მხოლოდ ესა და ეს და არა სხვა რამ ნაყოფი. ნამდვილად კი წარმოშობილი ნაყოფი ხშირად მოლოდინს არ ემსგზავსება და სრულიად სხვა ხასიათისაა. პოეტი ხშირად არ ჰგავს იმ წრეს, სადაც სცხოვრობს. გონება-დამჯდარ ხანაში გაისმის ხოლმე გიჟისებური, ეგზალტაციით ცეცხლმოკიდებული მოწოდება. გარემოს შესწავლა საჭიროა, მაგრამ ესთეტიურ ფენომენის შეგნებისთვის საჭიროა აგრეთვე სუბიექტიური ანალიზი ინტიმურ სიცოცხლის და შემოქმედებითი პროცესისა. ყველა ამას ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ჩვენ ავტორს. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიის ანალიზის დროს იგი თითქმის ამ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს, ორიგინალობას არ არის მოკლებული თუნდ ამგვარი საზოგადო ხასიათის სურათი: „მგონია, მხატვარს თუ ჰსურს ნამდვილი სურათი ქართველისა გამოხატოს, ვერაფერი იპოვოს იმის სახეში, როგორც მიუცილებელი თვისება, რალაც ტკბილი ღრეჯის და ღიმილის მეტი (ყველის ვაჭრისავით), რომელიც წარმოსდგება ხასიათის სრულიად უქონლობისაგანა. ცოტათ თუ ბევრათ ამ ტკბილ კილოსა თითქმის ყოველი ქართველი მწერლის თხზულებაში შენიშნავთ, მაგრამ ახლა თუ თვალს გადაავლებთ ამ რკინისა და ფოლადის ნ. ბარათაშვილის ლექსებსა, მაშინვე წარმოიდგინეთ კაცსა, რომელიც ყველაზე მაღლა სდგას, ყველასაგან ერჩევა თავის გრძნობით, ნიჭით და ხასიათით,—იალბუზსავით მიუკარებელი, ცივი და მაღალი, მუდამ თავ და შუბლ დაბურული, როგორც ისევ იალბუზი, მარად გარემოხვეული გულის მკვლელი და მომწყვლელი სევდის ნისლითა, რომლის ტანჯვისა და „განწირული სულის კვნეთების" მოწამენი და თანამოზიარენი მარტო ეს ღრუბლები არიან,— ყველასაგან განდევნილი, უთუოდ ყველასაგან მოძულებული და ნამდვილად ყველასაგან გაუგებარი. (№ 3).

ერთი სიტყვით, აღიარებულია ხელოვნების მცნება, ესთეტიკა პატივსადები ხდება. და ეს უკვე დიდი გამარჯვებაა აზროვნებისა. აქ ის კი არ არის საკამათო, არის თუ არა მშვენიერება, არამედ როგორ უნდა განვმარტოთ და ავსხნათ მშვენიერების ფენომენი. აი თუნდ ნ. ბარათაშვილის პოეზია. „ცისკრის" კრიტიკულ წერილების შემდეგ არავის აზრად აღარ მოსდის უარჰყოს მშვენიერება ამ პოეზიისა. ეხლა მხოლოდ მის ახსნას ცდილობენ. 1870 წლის „კრებულის" მესამე წიგნში გამოაქვეყნეს ბარათაშვილის კერძო მიწერ-მოწერა [illegible] („დროება" № 36, 1873 წ.) [illegible]

სათათბირომ განაგრძო სახალხო განათლების მინისტრის განმარტების განხილვა.

ობრაზცოვმა სტუდენტების მოძრაობის მიზეზად აგიტაცია დაასახელა და ყველაფერი ებრაელებსა და კადეტებს დააბრალა.

ჩხეიძე. მინისტრის განმარტება რომ მოვისმინე, მაშინ მივხვდი ერთს რასმეო: თურმე საკადემიო და მის გარეშე ცხოვრებას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. მაგალითად, რა სტუდენტობის საქმეა შიმშილობის საკითხი? სიკვდილით დასჯა სტუდენტობის სამშობლოსთვის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ნაციონალიზმის მედროშეებად გამოსულან ქვეყნის მასხარანი. სტუდენტობის საქმე მარტოოდენ სწავლაა, მეცნიერება კი ცივია. არ დაგავიწყდეთ, კასო მარტო არა ყოფილა: სათათბიროშიაც არის ხალხი, რომელიც კასოს ტაშს უკრავს. მაგრამ რუსეთმა დიდი ხანია გადასწყვიტა, საჭიროა თუ არა ამისთანა სათათბირო და მთავრობა. თუ ეს ვერ შეგიგნიათ, თქვენგან შეურაცხყოფილი და აღელვებული ხალხი შემოგძახებთ: გზა მოგვეცით, გაუმარჯოს თავისუფალ მეცნიერებას და რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობას, ამ საუკეთესო იდეალთა მიმდევარსა! (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

ნოვიცკი მე-2. მინისტრს პირნათლად შეუსრულებია მოვალეობა და უსინდისოთა და ბოროტთა შეკითხვა უარსაყოფია.

მილიუკოვი. მინისტრის საბუთები დამპალ კოჭის ძაფს მოგვაგონებს, რომელიც წამდა უწუმ სწყდებაო. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ ბევრჯერ მიჰმართა მინისტრს და შუამდგომლობდა დათხოვნილთა უკან მიღების თაობაზე, მაგრამ კასოს არა უპასუხნია რა. ბოლოს დროს ისეთი პასუხი მისცა, რაიც სახუმარო ჟურნალის წერილს უფრო ჰგავს. მინისტრს პოლიციამაც კი აცნობა, დათხოვნილთა 66% მიღების საწინააღმდეგო არა გვაქვს რაო, მაგრამ მაინც არ შეისმინა უნივერსიტეტის საბჭოს თხოვნა. დაგვიანების გამო, მოლაპარაკე სიტყვას ოთხშაბათს დაასრულებს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია** შაბათს, 10 მარტს, ალექსანდრეს საავადმყოფოს დაათვალიერებს.

◆ ნამესტნიკმა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა 16,099 მან. 31 კაპ. გადასცეს ტფ. **რეალურ სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად.**

◆ **სახელმწიფო სათათბიროს ნადეპუტატარი ნოე ჟორდანია,** როგორც ბაქოდან „ტიფ. ლისტ“. ატყობინებენ მძიმედ ავად გამხდარა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა რწმუნებული ფინანსისტთა ერთის ჯგუფისა, რომელსაც თანხად 60 მილიონი მანეთი ჰქონია. რწმუნებულს აზრად აქვს, მოლაპარაკება გამართოს კავკასიის ქალაქებთან საქალაქო სესხის მიღების და განაღდების თაობაზე.

◆ როგორც გავიგეთ, მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში აღძრულა საკითხი ავლაბარში საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** როგორც მკითხველებმაც იციან, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი სამსახურში ხშირად იგვიანებენ, რომელ გარემოებასაც ამას წინად ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმაც მიაქცია ყურადღება. გუშინ ამის სიმართლეში ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრნიც დარწმუნდნენ, რომელნიც თვითმმართველობაში ადრე მოვიდნენ და ჩაწერეს, რომელმა მოსამსახურემ რამდენს ხანს დაიგვიანა, დაგვიანებულთა რიცხვი შესამჩნევი აღმოჩნდა.

◆ გაზ. „ცხოვრებაში“ მოთავსებულია წერილი **ნინოშვილის** (ინგოროყვას) ბიძის ალექსი ინგოროყვასი. იგი წიგნის გამომცემელ კოწია თავართქილაძესა სთხოვს გადაუხადოს ნინოშვილის თხუზულებათა გამოცემისათვის აღთქმული ჰონორარი 300 მანათი. გარდა ამისა თხოულობს, რომ კ. თავართქილაძემ დაუბრუნოს მას, როგორც ნინოშვილის მემკვიდრეს, სრული უფლება ნინოშვილის თხზულებათა გამოცემისა.

◆ ლექციას „ოჯახი, როგორც ფორმა საზოგადოებისა“ 17 მარტს ქართულს თეატრში წაიკითხვენ ივ. გომართელი, შ. მესხიშვილი და გ. ჟორდანია. ამ ლექციის გამო მომხდარი გაუგებრობა უკვე გამოირკვა.

◆ **საბირჟო კომიტეტმა** საჭიროდ იცნო, ნოტარიუსის კანტორის დაარსება ქალაქის განაპირა უბანში და დაადგინა, მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობა აღძრას.

◆ **შრომის ბირჟაში** სამუშაოს საშოვნელად თებერვალში ჩაწერილა 127 კაცი და 170 ქალი.

◆ 7 მარტს ტფ. მოქალაქის შვილი კონსტანტინე ირაკლის ძე სემიონოვი, 7 წლისა, რომელიც ფოთის ქუჩაზე, სცხოვრობს, ელისაბედის ქუჩაზე ტრამვაის გაქანებულ ვაგონიდან გადმოხტომის დროს, მიწაზე დაეცა და სახე დაუშავდა, ბავშვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **შეიპყრეს.** ტფ. მაზრის სოფელ ბერვეთის მცხოვრები ალექსანდრე ზაქარიას ძე თავაური, რომელიც ყაჩაღთა ბრბოს შენახვისთვის ორენბურგის გუბერნიაში იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ **ქალაქის ლომბარდს** თებერვლის განმავლობაში დაგირავებულ ნივთებში 26,610 მან. გაუცია.

◆ **ფარულად საქონლის დაკვლისათვის** გუშინ ქალაქის მეორე უბანში სამს ყასაბს შეუდგინეს ოქმი.

◆ საშუალო და წვრილ მრეწველობის მოღვაწეთა კრებაზე დასასწრებლად, რომელიც პეტერგში მოხდება, ტფ. **საბირჟო კომიტეტმა წარმომადგენლებად** აირჩია თავ. ვლ. მიქელაძე და ნ. ქალანთარი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** საგანგებო კომისიის კრება 7 მარტს მოხდა ა. ს. ბაბოვის თავჯდომარეობით. კომისიამ დაადგინა, დაარსოს საგანგებო ბიურო, რომელმაც შენობის საქმე უნდა განაგოს და მსურველთ ყოველგვარი ცნობა მიაწოდოს. საკითხი პაიების შესახებ შემდეგისთვის გადაიდო.

◆ **ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიის** კრება 10 მარტს მოხდება. სხვათა შორის განიხილავს, საკითხს მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების თაობაზე.

სასამართლო

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია.** 7 მარტს ქუთაისისა, სოხუმისა და ბაქოსაკენ გაემგზავრა პალატის უფროს თავჯდომარის ნ. ნ. ლავგოდას თავჯდომარეობით.

მილიონერის გასამართლება.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

არ გეგონოთ ლიტერატურული გასამართლება, რომელიც ასე შეუყვარდათ ქართველებს. ნამდვილი გასამართლებაა.

საქმე სწარმოებს ბაქოში, აქაურ ოლქის სასამართლოს პატარა, უხეირო და ჭუჭყიან დარბაზში. ქუჩა სავსეა ხალხით, ყველას შესვლა უნდა, მაგრამ უშვებენ მარტო იმას, ვისაც ბილეთი აქვს. ვერავითარი საღამო და კონცერტი ვერ მიიზიდავდა ისე ხალხს, როგორც ამ საქმემ მიიზიდა. ბაქოელებს ყველაფერი გადაავიწყდათ—ჩინეთის რევოლიუციაც, ინგლისის შესანიშნავი გაფიცვაც, იტალია-ოსმალეთის ომიც და სხვა ყველაფერი. ორი დღის წინად ბაქოზე გაატარეს სპარსეთის შაჰი მაჰმედ-ალი, მაგრამ ვის მოაგონდებოდა ამ დროის დონ-კიხოტი, როდესაც ყველას პირზე მილიონერი ტაგიევი ეკერა. კორესპონდენტებისთვის ხომ ნამდვილი დღესასწაული დადგა.

აი ამ ტაგიევის საქმის გარჩევა დაიწყო ექვს მარტს. გადმოძცეს, ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ერთ შესასვლელ ბილეთში ათ თუმანს იძლეოდა, მაგრამ ბილეთს მაინც ვერა შოულობდაო.

საქმის გარჩევა დაიწყო 11 საათზე. პატარა დარბაზი, რა თქმა უნდა, გაჭედილი იყო. როდესაც შევედი, ყველაზე უწინარეს თვალში მეცა ქალების უზარმაზარი შლიაპები. თითქოს ჯარს ბანაკი დაუციაო, ისე იყო კარვებივით ეს შლიაპები ჩამწკრივებული. ძნელი იყო, მაგრამ მაინც მოვახერხე ამ შლიაპებს შუა გავლა, ფეხის თითებზე შევდექ და დარბაზს თვალი მიმოვავლე.

მარჯვენა მხარეს ისხდნენ ბრალდებულნი, შვიდი კაცი. ყურადღებას იქცევდა მათი გარეგნობა ყველანი ჩასქელებულნი იყვნენ, თითქოს განგებ დაუსუქებია ვილაცასაო. მხოლოდ თავში იჯდა პატარა, გამხდარი კაცი—ტიპიური თათარი შეღებილი წვერით და მოპარსულ თავზე პატარა თათრული ფაფანაკით. ეს გახლდათ შესანიშნავი ჰაჯი ზეინალი აბდინ ტაგიევი, მილიონერი, რომელსაც მთელი რუსეთი იცნობს.

ტაგიევი მართლაც შესანიშნავი კაცია. ახალგაზრდობაში უბრალომ და სრულიად უსწავლელმა მუშამ შეიძინა მილიონები და სწავლა-განათლების ასპარეზზე გააკეთა იმდენი, რამდენიც კავკასიაში არც ერთ ნასწავლ კაცს არ გაუკეთებია. რამდენიმე მილიონი მანეთი დაუხარჯავს ტაგიევს სწავლა-განათლებაზე. საყურადღებოა, რომ ეს უსწავლელი კაცი, რომელმაც მგონი წერა-კითხვაც კი ორმოცი წლისამ შეისწავლა, თავგამოდებული მომხრე გამოდგა ევროპიულ კულტურისა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამიერ-კავკასიელ თათრების გამოფხიზლების თავი და თავი მიზეზი ტაგიევი იყო.

აი ეს კაცი ზის დღეს საბრალმდებლო სკამზე. ექვს დანარჩენ ბრალდებულიდან ზოგი მისი ნათესავია, ზოგიც მახლობელი და მოსამსახურე. ერთია შვილი—სადიხ ტაგიევი, მეორე ძმის-წული—მამედ რიზა ტაგიევი, მესამე—მისივე ერთ-ერთი ქარხნის გამგე მეხტი ჯაფაროვი, მეოთხე სპარსელი პრინცი (რუსეთის ქვეშევრდომი) რუსის პოლკოვნიკი მანსურ მირზა კაჯარი (კაჯარი ამ საქმის გამო იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო; იგი აქაურ გრადონაჩალნიკთან შტაბ-აფიცრად იყო), ესეც მგონი მოყვარეა თუ ნათესავი ტაგიევისა; მეხუთე—შტაბ-როტმისტრი მამედბეკოვი (ესეც ამავე საქმის გამო სამსახურიდან გამოვიდა) და მეექვსე—გასან ალი გასანოვი, ტაგიევის გაზეთის „კასპის“ სამეურნეო ნაწილის გამგე.

ყველა ესენი სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და ჰბრალდებათ ცემა, ტანჯვა და თითქმის წამება ინჟენერ-ტეხნოლოგის ლიუთბალ ბეგ ბებუთოვისა, რომელიც ამ საქმის გამო მოწმეთ არის დაბარებული.

ბრალმდებელთა წინ, სტოლის გარშემო, ისხდნენ მათი დამცველები—ცნობილი ვექილი და არა ნაკლებ ცნობილი წევრი რუსეთის „პარლამენტისა“ კადეტი ვ. ა. მაკლაკოვი (იცავს ტაგიევს), იმავე „პარლამენტის“ წევრი ცნობილი მემარჯვენე, ყოფილი პროკურორი გ. თ. ზამისლოვსკი; ორი დანარჩენიც აქაური ვექილებია—ვონსოვიჩი და მაკალინსკი. ბებუთოვის მხრივ არიან—ტფილისელი ვექილი იოსებ ბარათაშვილი და ბაქოელი—ზელენკევიჩი. ბებუთოვი ედავება ტაგიევს, რასაკვირველია ფორმის გულისთვის, 20 მან. 70 კაპ. (საექიმო ხარჯს).

მოწვეულია ექვსი ექსპერტი—სამი ტაგიევის, სამიც ბებუთოვის მხრით. ტაგიევმა სხვათა შორის, მოიწვია პეტერბურგიდან პროფესორი კოსოროტოვი. ტაგიევის მხრივ არის ექსპერტად აგრეთვე ერთი ექიმი—ივ. ელიაშვილი.

დიდი ლაპარაკია და მითქმა-მოთქმა, რასაკვირველია, პეტერბურგელ ვექილებზე. ყველას უნდა გაიგოს, რას აიღებენ ამ პროცესში მაკლაკოვი და ზამისლოვსკი. ზოგი რას ამბობს, ზოგი - რას. როგორც დანამდვილებით გადმოგვცეს, მაკლაკოვს მიეცემა 20-25 ათასი მანეთი, ზამისლოვსკის—ათი ათასი მანეთი და ექსპერტს პროფ. კოსოროტოვს—აგრეთვე ათი ათასი მანეთი. ი. ბარათაშვილზედაც ლაპარაკობენ. ბევრი ამბობს - ცუდ მდგომარეობაშია იგი, ორ შესანიშნავ ვექილს უნდა შეებასოო.

სასამართლო გამოვიდა. ყველამ მოუთმენლად მოელის მოწმეების დაბარებას დასაფიცებლად, რადგან, სიმართლე თუ გნებავთ, უმთავრესი მომქმედი პირები ამ საქმეში მოწმეებად არიან—ტაგიევის ცოლი, სონა ტაგიევისა. ინჟ. ბებუთოვი და ამ უკანასკნელის ცოლი, ლეილა (საბრალმდებლო ოქმით—ელენე) ბებუთოვისა. აი შემოიყვანეს მოწმეებიც. ყველა თვალით ამ სამს ეძებს, უმთავრესად მანდილოსნებს ტაგიევისას და ბებუთოვისას. ორივე თათრის ქალი და ცოლია, ორივე ევროპიულად განათლებული და უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი, ორივ ტანადი და ლამაზი: ერთი (ტაგიევის ცოლი)—შავგვრემანია, მეორე (ბებუთოვის ცოლი)—ქერა.

დაიწყო საქმის გარჩევა. დააფიცეს მოწმეები, გამოჰკითხეს ვინაობა ბრალდებულთ და, ბოლოს, დაიწყო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა. პირველ დღეს, 6 მარტს, ჩვენება ჩამოართვეს უმთავრეს მოწმეებს: ინჟ. ბებუთოვს, მის ცოლს, ტაგიევის ცოლს და ორსამს სხვასა. ამ დღეს საქმე დაიწყო დილის 11 საათზე და დასრულდა ღამის 12 საათზე. დანარჩენი მოწმეთა გამოკითხვა მეორე დღისთვის გადაიდო.

დიდ თანაგრძნობას იწვევენ დამსწრეთა შორის ბებუთოვები, ცოლქმარი. ინჟ. ბებუთოვის გულწრფელმა ლაპარაკმა ბევრს გულიც-კი აუჩვილა. ორივე განათლებულ და ინტელიგენტურ ოჯახიდან არის. ქმრის ინჟ. ბებუთოვის მამა შუშელი მემამულე იყო. შვილებს ყველას უმაღლესი განათლება მიაღებინა. ერთი ძმა ინჟ. [illegible], მეორეც უნივერსიტეტში სწავლობდა. დებსაც [illegible] აქვთ მიღებული. რადგან [illegible] დაღარიბდა, ბოლოს გაუჭირდათ. ლიუთფალ ბებუთოვს სტიპენდია ჰქონდა ტაგიევისა და სწავლის გათავების შემდეგ ტაგიევთანვე მსახურებდა რვა წლის განმავლობაში. ცოლი ბებუთოვისა, ლეილა პოლონელი თათრის ქალია. პოლონელი თათრები ოსმალების ნაშთები არიან, როგორც ვიცით, ოსმალებმა უწინ შუა ევროპას მიაღწიეს და კინაღამ ვენაც აიღეს. იმ დროიდან დარჩნენ თათრები პოლონეთში. განათლებული და კულტურული ხალხია. ტიპიც გადაგვარდა და ისინი უფრო პოლონელებს ჰგვანან ვიდრე თათრებს. შერჩათ მხოლოდ სარწმუნოება, მაჰმადიანობა. ლეილას მამა, გვარად ტალკოვსკი, გენერალია მოსაზღვრე დარაჯთა რაზმებისა და მსახურებს ბათუმის ოლქში.

საქმის ვითარება, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს ასეთია. ის ამბავი, რის გამოც ტაგიევი სამართალშია მიცემული, მოხდა შარშან, 1911 წელს, 16 მაისს. ზევით უკვე ვთქვი, რომ ბებუთოვი ტაგიევთან მსახურებდა. 16 მაისს, ესე ნაშუადღევის სამ საათზე, ტაგიევმა ტელეფონით თავისთან დაიბარა ინჟ. ბებუთოვი, ჩემს სახლს რემონტი უნდა და მოდი, დაათვალიერეო. როდესაც მივიდა შეუდგნენ ოთახების დათვალიერებას. ერთ ოთახში შესვლისას ტაგიევს უცბათ დაუძახნია—დაჰკათ, სცემეთ ამ საძაგელსაო. იქით-აქედან გამოვარდნილან ზევით ჩამოთვლილი ბრალდებულნი—ტაგიევის შვილი, პრინცი ყაჯარი და სხვანი, და დაუწყიათ უწყალოთ ცემა. ხელებიც-კი შეუკრავთ თოკით, წაუქცევიათ უფურთხებიათ, უგინებიათ და სხვა. ტაგიევს ტელეფონით ბებუთოვის ცოლიც-კი დაუბარებია, შეუყვანია, უჩვენებია ნაცემი ქმარი და უთქვამს—დასტკბი აი შენი ქმარით. საწყალ ქალს იქვე გული წასვლია. ბოლოს ძალზე ნაცემი და დასისხლიანებული ბებუთოვი გაუყვანიათ გარეთ და გაუშვიათ. მიზეზი ასეთ ძალმომრეობისა ისა ყოფილა, რომ ტაგიევის ცოლს, სონა ტაგიევისთვის, უთქვამს—ბებუთოვი ერთი ხანია მდევნის, მეარშიყება და ამას წინად კოცნაც მომინდომაო. ეს ყოფილა ამ დავიდარაბის მიზეზი, თუმცა ათასი სხვა და სხვა ხმა დადის.

ტაგიევი და სხვა ბრალდებულნი, რასაკვირველია უარს ამბობენ,—არ გვიცემნია ბებუთოვისათვისაო. ტაგიევი ამბობს, მე მხოლოდ შევარცხვინე და შევაჩვენე ბებუთოვი, ჩემი გაზდილი და ჩემმიერ გაბედნიერებული კაცი, რომელმაც ასე გადამიხადა სამაგიეროო.

საქმის გარჩევა ორ-სამ დღეს გასტანს განაჩენს თავის დროზე გაცნობებთ.

ბა და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესობისთვის ყოფილა შეწირული, ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისათვის სდევნის უწყალოთ და თავის მახვილი გონების მათრახსა სცემს ყოველსავე, რაც არის ცრუ, მატყუარი, გარეგანი ბრწყინვალებით შემკული, მაგრამ შიგნით გულდამპალი და უნაყოფო მეცნიერება“... (ibid).

იმ ხანაში ამგვარის განმარტებით ყველანი დაკმაყოფილებული იყვნენ. ბარათაშვილი ჩასვეს დროის და ისტორიის პირობებში. დოკუმენტების მიხედვით, მოქალაქობრივი ყოველგვარი სიკეთით დააჯილდოვეს იგი, დ გაუგებარი გაგებული გახდა. აშკარაა, ამგვარი განმარტება დიდი შეცდომა იყო, რომელსაც მაშინ ვერ დაინახავდნენ (ამ შეცდომას დღესაც ბევრი ვერ დაინახავს). აშკარაა, ირაციონალური მოტივები ბარათაშვილის პოეზიისა, მისი ტრაგიკული შებრძოლება ბედისწერასთან სრულიად შეუგნებელი დარჩა გ. წერეთლისთვის. ხოლო მოქალაქობრივი მოტივებითი მისი სულის აღმაფრენის, აღსნა ხელიდამ გაგდება იყო იმ გასაღებისა, რომლის წყალობითაც უნდოდათ განმარტება ბარათაშვილის პოეზიისა. ყოველივე ეს უკეთესი ნიმუშია ცალმხრივობისა ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივი კრიტიკისა ხელოვნების სულის ასახსნელად.

რაკი ხელოვნებას შევეხეთ, გადავხედოთ თეატრის საქმესაც, უკეთ ვსთქვათ, თეატრის შესახებ იმ დროში მოარულ აზრებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ განხილვიდან დავინახავთ, რომ ხელოვნება არც პოლიტიკური ეკონომიაა, არც ფილანტროპიაა და არც დარაჯია ზნეობისა. ხელოვნება, რომელიც თეატრში ჰსახიერდება, ნათელს ფენს არა მარტო თეატრის საკითხს, არამედ საზოგადოდ ხელოვნების საკითხსაც. ჟურნალ „მნათობში“ ნ. ავალიშვილი არკვევს თეატრის მნიშვნელობას. იგი ამბობს: „...თეატრი არის სხვა საშუალებათა შორის ერთი საშუალებათაგანი განათლების გავრცელებისათვის. ყველა დარწმუნებულია იმ აზრზედ, რომ სახალხო თეატრი ხალხის აღზრდისათვის, ხასიათების გაპატიოსნებისათვის, ცხოვრების დაწმენდისათვის და საზოგადოდ ხალხის განათლებისათვის საუკეთესო სკოლას, ანუ სასწავლებელს შეადგენს“. „მნათობი“ 1869 წ. ივლისი და აგვისტო). ასე რომ ჩვენი ავტორის აზრით თეატრი-სკოლა, სასწავლებელი ყოფილა. ყოველი სხვა სიკეთე თეატრისა (აღმზდელი, ხასიათის გამაპატიოსნებელი და სხვა) თეატრის ამ მთავარ თვისებიდან წარმოსდგება. თავის აზრის დასამოწმებლად ავტორს მოჰყავს ერთ მეცნიერის აზრი, რომელიც, აღიარებს რა თეატრს განათლების ტაძრად, ამასთანავე საზოგადოების სარკედ მიაჩნია, „რომელშიაც ყველას ერთად და თვითეულს ცალ-ცალკე შეუძლიან თავის საკუთარი თვალით დაინახოს თავის ცხოვრება მისი ღირსებით და ნაკლულევანებითურთ. როგორც ჩვენ ჩვეულებრივ სარკეში ვისწორებთ აწეწილ თმას, ვიწმენდავთ სახეზედ მურს და რიგზედ მოგვყავს ჩვენი მორთულობა, ისე განათლების სარკეში ჩახედვით (ესე იგი თეატრის შემწეობით) ჩვენ მოვიყვანთ რიგზედ მთელს ჩვენს ცხოვრებას: თუ მასში შევამჩნევთ რასმე გასაწმენდს, გასასწორებელს და რიგზედ მოსაყვანს, ვეცდებით—გავასწოროთ, და რიგზედ მოვიყვანოთ“ (ibid) გარდა ამისა თეატრს შექცევის თვისებაც ჰქონია. (გონიერი შექცევის, რა თქმა უნდა). გაზეთ „დროებაში“ მეველს (დ. მიქელაძეს) დაახლოვებით ამგვარივე აზრი აქვს. გამოთქმული თეატრის შესახებ. „თეატრი შეიძლება შევადაროთ სარკეს, ამბობს იგი. როგორც სარკეში დაინახავს კაცი თავის სახეს, ისე სცენაზედ უყურებს საზოგადოება თავის გამოხატულებას. რამდენად კარგია სარკე, იმდენად სწორედ და ნამდვილად დაგანახებთ ის თითეულს თქვენს სიკეთეს, ან ნაკლულევანებას. ასეა თეატრიც“... (№ 402, 1893 წ.)

ჩამორჩენილ და დაქვეითებულ ქვეყანაში თეატრს რომ განათლების მისია დააკისრონ და სასწავლებლის ორგანოდ გახადონ, გასაკვირველი არ არის. თეატრი მართლაც არის კულტურული პრობლემა. ხოლო კულტურული პრობლემა—თეატრი და სასკოლო დაწესებულება, რომელიც ცოდნას ავრცელებს, ერთი და იგივე არ არის. თუ თეატრი სკოლაა, მაშ სკოლაც თეატრი ყოფილა. ეს კი ასე არ არის. მაშ არც თეატრი ყოფილა სკოლა. ისეთი დეფინიცია უნდა მისცეთ თეატრს, რომ მისი არსებითი თვისება მოსჩანდეს. როცა ამბობთ, სკოლა ცოდნას ავრცელებს, აქ არავინ წამოგედავებათ, რადგან მართლაც ძირითადი, არსებითი დანიშნულება სკოლისა ცოდნის გავრცელებაა. ხოლო როცა ამბობთ, სკოლა ზნეობის განსპეტაკებელი დაწესებულებაა, აქ თქვენ სკოლის პირდაპირ დანიშნულებაზედ კი არ ლაპარაკობთ, არამედ იმ შესაძლებელ ნაყოფზე, რომელიც მას მოტანა შეუძლიან. მართლაც ცოდნის გავრცელებას ხანდისხან მისდევს ხოლმე ზნეობის განსპეტაკებაც. ვამბობ, ხანდისხან, რადგან ბევრგვარ შემთხვევაში ამგვარი ნაყოფი არ მოსდევს ცოდნის გავრცელებას. ზნეობის განსპეტაკებისათვის ხშირად სკოლის გარდა წესიერი აღზრდაა საჭირო. სკოლა ხანდისხან უძლურია ამ აღზრდასაც გაუწვდეს, თუ ცხოვრების დანარჩენი პირობები ხელს არ უწყობენ, ხოლო მიუხედავად ყველა ამისა მისი მნიშვნელობა როგორც ცოდნის გავრცელების ორგანოსი მაინც დიდია. სწორედ ამგვარადვე უნდა მოვიქცეთ თეატრის შესახებაც, დავიჟინეთ, თეატრი სკოლააო და სამოცი წელიწადია შეუპოვრად ვიმეორებთ ერთსა და იმავე აზრს. მაშ რა არის თეატრი?

რომ ვსთქვა, რომ თეატრალური ხელოვნება ერთგვარი დათრობის და აღმაფრენის გამომწვევი საშუალებაა, დამცინებთ, მაგრამ, კარგად რომ ჩაუფიქრდეთ, არც ისე სასაცილოა ეს აზრი. ერთი თანამედროვე მწერალი, გეორგ ფუქსი. რომელსაც თანამედროვე თეატრის აღორძინებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, მოურიდებლად ლაპარაკობს მაყურებლებში ექსტაზის გამოწვევის საჭიროებაზე. და თეატრალური ხელოვნება მის თვალში მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ხელოვნება, როდესაც მას ამ ხასიათის ორგიაზმის ელფერი აქვს. იგი ამბობს: „როდესაც ის, რაც სცენაზედ გვევლინება, თავისის რითმით, ისეთ ნაირად გვიპყრობს, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება ჩვენ მიერ ნახულ ცხოვრებაში იშლება, ამ შემთხვევაში ჩვენ განვიცდით ისეთ დიდ აღმაფრენას ჩვენის პიროვნებისას და ისეთის სიღრმით ვიგნებთ სიცოცხლეს, როგორადაც იგი თავის დღეში, ჩვეულებრივ პირობებში, არ გამოჩნდებოდა ჩვენთვის. თეატრალურ ხელოვნების ამგვარი მნიშვნელობა კარგად ესმოდა არისტოტელს. მისი „კათარზის“ ჰნიშნავს განწმენდას, განთავისუფლებას სიცოცხლის მძიმე ტვირთისაგან სიცოცხლის საზოგადო და უნივერსალურ დასაწყისში პიროვნების გაშლის და უსაზღვრო თავდავიწყების საშუალებით. თეატრში ჩვენ არ ვეძებთ არც ლიტერატურას, არც მუსიკას. ჩვენ გვინდა რომ ათას სხვა ადამიანებთან ერთად აღფრთოვანებულად ერთ სულ და ერთ ხორცს შევადგენდეთ, რომ საზოგადო აღმაფრენას ავაყოლოთ ჩვენი გრძნობაც. ხოლო რათა ეს რეალურად შესაძლებელი იყოს, საჭიროა რომ ყველას ერთმა დიდმა ტალღამ წაგვიღოს, რომ ყველანი ერთის აღელვებით ვსუნთქავდეთ აჩქარებით“. (Георгъ Фуксъ. Революція театра. გვ. 75.) თუ ამგვარი განმარტება მივიღეთ, ჩვენთვის მხოლოდ იმ თეატრალურ ნაწარმოებს აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა, რომელსაც ძალუძს ზემოდ-აღნიშნული მღელვარება გამოიწვიოს მაყურებლებში. ეს არის ესთეტიური ღირებულება ხელოვნებისა. ამ საზომით უნდა მივიდეთ ხოლმე მასთან. ყოველივე დანარჩენი, ე. ი. აღმზრდელობითი ხასიათი თეატრისა, მისი გამანათლებელი მნიშვნელობა, პირველზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს. **არ არის ენტუზიაზმი, აღმაფრენა, შეერთება ერთ ნაკადულში მრავალ პიროვნებათა, არ არის ხელოვნება, და არ არის მაშინ არც აღზრდა არც განათლება და თეატრიც კულტურულ პრობლემის მისიას ვერ ასრულებს.**

მესამოციანებში, როდესაც ჯერ კიდევ ბუნდოვანი აზრები იყო გავრცელებული ხელოვნების შესახებ და პრობლემა განათლებისა და სარგებლობისა იყო მთავარი პრობლემა ეპოქისა, მესამოციანებში, განსაკუთრებით ჩვენში, როდესაც მუდმივი თეატრი ის იყო ფეხს იდგამდა და ამ თეატრის გამოყენებაც უნდოდათ დროის მოთხოვნის მიხედვით, ვერ იხეირებდა ჩვენ მიერ წამოყენებული აზრი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღესაც თეატრს უყურებენ როგორც ლიტერატურას, განათლების ტაძარს და მის ესთეტიურ მხარეს კი, რომელიც თავი და თავია ყოვლგვარ ხელოვნებაში, უყურადღებოდ სტოვებენ. არავის ეგონოს, რომ ჩვენ „რეალურ ხელოვნების“ მტერი ვიყოთ, რომ თეატრიდან ცხოვრების განდევნა გვწყუროდეს, პირ-იქით, ძლიერ ვართ მოწადინებული, რომ თეატრმა **გვაგრძნობინოს, განგვაცდევინოს** ეს ცხოვრება. მოგვეცით თეატრი სამხატვრო და ნუ გვიწვევთ „სასარგებლო“ თეატრში. „სასარგებლო“ თეატრში არ არის აღვრთოვანება, აღმაფრენა, ენტუზიაზმი, მაშასადამე არ არის შიგ ადამიანთა სიცოცხლის ერთმანეთში გახსნა და შედუღება. მაშასადამე ის არც „სასარგებლო“ ყოფილა, რადგან „სასარგებლო“ ჩვენთვის ის, როდესაც ეგოისტიური და საზღვარ-დადებული ჩვენი პიროვნება იზრდება, ჰფართოვდება და თითქოს შიგ იტევს ამ უსაზღვრო სიცოცხლის სიდიადეს. ამას გვაძლევს სამხატვრო თეატრი. დროა შეუდგეთ ამ ახალი საქმის მოწყობას!

არჩილ ჯორჯაძე.

რუსეთ-ოსმალეთ ურთიერთობა.

გაზეთებიდან

სტამბოლი. რადგანაც ხმები გავრცელდა, რუსის ჯარი კავკასიის საზღვრის ახლო იყრის თავსო, ოსმალეთის მთავრობა შეეკითხა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს პეტერბურგიდან უპასუხეს, საზღვარზე მხოლოდ ალლუმი და ჯარების საცდელი მობილიზაცია სწარმოებდაო. ოსმალეთის მთავრობა ასეთ პასუხს ვერ დაუკმაყოფილებია და რუსეთის მთავრობისაგან უფრო გარკვეულ პასუხს მოითხოვს.

ბოსფორთან მდებარე საარტილლერიო სიმაგრეებზე სროლაში ვარჯიშობენ.

ჩარიკოვის გადაყენებამ ოსმალეთი საგონებელში ჩააგდო. რადგანაც შიშობენ, რუსეთმა იტალიასთან ერთად არ გამოილაშქროს ჩვენს წინააღ მდეგო.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ტოკიო. იაპონიის მთავრობა დასთანხმდა ოთხ სახელმწიფოს წინადადებას ჩინეთის სესხში მონაწილეობის თაობაზე. ბანკის წარმომადგენელი უკვე ჩასულა პეკინს. „ძიძი-შიმპო“-ს სიტყვით, რუსეთს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, მიიღოს თუ არა სესხში მონაწილეობა.

პეკინი. საპროვინციო სათათბირო კომიტეტებს საბჭოები დაარქვეს. საბჭოებს დაავალეს საარჩევნო წესების შემუშავება და ასრულება, რაც შეიძლება მალე. იჩეოუში ისევ არეულობაა. აჯანყებულ ჯარს მძარცველები შეუერთდნენ. ტიანძინში ძიანნანფუს დივიზიის უფროსი ბუდინიანი ჯარის კაცებმა დასჭრეს.

მუკდენი. ხუნხუზთა ბრომ, რომელიც 230 კაცისაგან შესდგებოდა, დამარცხებულმა ჩრდილოეთს მიაშურა და რამდენიმე სოფელი გაძარცვა. 200 კაცისაგან შემდგარი ხუნხუზთა ბრბო, რომელიც იანტაის მაღაროების მიდამოებში დათარეშობდა, საპოლიციო სამსახურში მიიღეს.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ურმია. მაქის ხანმა, რომელიც სამად-ხანმა მაქუს, ქოისა, სალმასისა და ურმიის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა, თავის მხრივ წარმომადგენლები გაამწესა ამ პროვინციებში. ურმიის გუბერნატორის ადგილი ურმიის არისტოკრატიის გამოჩენილ წარმომადგენელს მუზანამუდ-დოულეს შესთავაზეს.

თეირანი. სპარსეთის მიერ 5 თებერვალს წარდგენილ ნოტის ყველა მუხლი.

მთავრობა ამბობს საპასუხო ნოტაში, 2 მილიონის ავანსის დიდი ნაწილი ჟანდარმერიის მოსაწყობად დაიხარჯებაო. სპარსეთი ვალდებულია პოლიტიკა ეუთანხმოს 1907 წელს რუსეთ-ინგლისის მიერ დადებულ ხელშეკრულებას. ფიდაები დაითხოვენ, მუდმივ გასწრთვნილ ჯარს იყოლიებენ. სამხედრო საქმის მოწყობა კაბინეთის უპირველესი საზრუნავი იქნება. მთავრობას მოქმედების გეგმას ორსავ სახელმწიფოს გააცნობს. მაჰომედ ალის მომხრეებს დანაშაული აპატიეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

8 მარტი.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. გრეიმ განაცხადა, მფარველ სახელმწიფოებს არავისთვის უთხოვნიათ კრიტეზე სტატუსქვოს დაცვაში დახმარებაო. თუ საქმე გამწვავდა და კრიტეს საკითხი გართულდა მაშინ გერმანიისა და ავსტრიის მონაწილეობით განიხილავენ საკითხსაო.

სინდიკატის დაპატიმრება.

ლონდონი. სალფორდში დააპატიმრეს სინდიკალისტთა კავშირის პრეზიდენტი თოვანი. მიზეზი გაზ. „სინდიკალისტის“ წინაღმდეგ აღძრული საჩივარია „სინდიკალისტი“ ჯარისკაცებს მოუწოდებდა, თუ ბრძანება მიიღოთ, მაინც არ ესროლოთ გაფიცულებსაო.

იტალიის ხარჯთ-აღრიცხვა.

რომი. სენატმა განიხილა 1911—1912 წლის ბიუჯეტი. თედესკამ აღნიშნა, 57 მილიონ შემოსავლის მომატებას უნდა ველოდოთო. ხუთის თვის ომის დროს შემოსავალს 7½ მილიონი ემატებოდა შარშანდელთან შედარებით, რაიც ამოწმებს, რომ იტალიის საფინანსო საქმეები მკვიდრ ნიადაგზე სდგასო.

ყუმბარის აფეთქება.

ოპორტო. ოთხ სახლში ყუმბარები აფეთქდა. სახლი დაინგრა. შვიდი კაცი დააშავა. ერთი დააპატიმრეს.

გაფიცვები.

ლონდონი. იორკშირისა და დერბშირის მთამადნის მუშათა კონფერენციამ პალატის წევრს მაკდონალდს განუცხადა, გაფიცვას არ მოვსპობთ, ვიდრე მაღაროების მაღლა მომუშავეთათვისაც არ შემოიღებთ ხელფასის მინიმუმსაო. საკითხი 10 ათასს მუშას ეხება.

დორტმუნდი. გლეხ მუშათა კავშირის თავმჯდომარემ მოჰკლა ერთი გაფიცული, რომელიც ორ ამხანაგთან ერთად თავს დაესხა. იგი გამოკითხვისთანავე გაანთავისუფლეს.

პრაგა. ჩრდილოეთ-დასავლეთ ჩეხიის საქვანახშირო რაიონში მუშების უმრავლესობა გაფიცულია.

სენტ-ავალდ. მაღაროს მუშების გაფიცვა შესწყდა. მაღაროების პატრონებმა დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილებანი.

ლონდონი. საუტგემპტონში უმუშევრად დარჩენილი მეზღვაური ათასობითაა. გაჭირვება დღითი-დღე ძლიერდება. თუ პალატამ ხელფასის მინიმუმის ბილლი მიიღო, შეიძლება ორშაბათს დაიწყონ მუშაობა.

ალბანელების თავდასხმა.

უსკიუბი. იპეკსა და დიაკოვოს შუა, სოფელ ლუკთან ალბანელები თავს დაესხნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მხლებლებს. იგი შესდგებოდა ჯარისა და სტრაჟნიკების დიდ რაზმისაგან. ალბანელები მოწინავეებს ემგვრნენ. ბრძოლის გათავებას მინისტრი ორ საათს უცდიდა კომისიის წევრებიანათ. მოკლულია 10 ოსმალი და 4 ალბანელი. დაჭრილი რამდენია, არ იციან. დასჭრეს მინისტრთან მყოფი ოლქის უფროსი და ხოჯა. ალბანელთა ბრბოს წინ უძღოდა მაჰმუდ-ხანი: მხლებლებმა ბრბო დაიფრინეს. მინისტრი ჯერ დიაკოვოს წავიდა, შემდეგ პრიზრენში, საიდანაც სკუტარში წავა. კოსოვოს ვილაიეთში სერბიელებს ოსმალთა ბრბონი ხშირად ესხმიან თავსა. ამ ბოლო დროს რამდენიმე მშვიდი სერბიელი მოჰკლეს.

ხელფასის მინიმუმის ბილლი ინგლისის პალატაში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ყველა წევრი დაესწრო. ასკვიტმა შეიტანა ხელფასის მინიმუმის პროექტი და განაცხადა: წინადადებას ვიძლევი ეს პროექტი მიიღოთ, თუმცა ძლიერ მწყინს და უკმაყოფილო ვარ, მაგრამ პროექტის მიღება საჭიროა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მთავრობამ ამ ზომას მხოლოდ მაშინ მიჰმართა, როცა დაიკარგა ყოველივე იმედი დათმობით გაფიცვის გათავებისა“. ასკვიტი შემდეგ შეეხო მთავრობის მონაწილეობას მოლაპარაკებაში. ხელფასის მინიმუმი შემოღებული იქნება იმ დროიდან, როდესაც მუშები საქმეს შეუდგებიან. ხელფასის რაოდენობა საოლქო კომისიამ უნდა შეიმუშაოს. მუშებს ნება აქვთ მინიმუმის თაობაზე დამქირავებლებს უჩივლონ, მაგრამ თუ მუშაობის წესი დაარღვიეს, ველარ მიიღებენ ფულსა. სისხლის სამართალში არავის მისცემენ. მუშებმა მინიმუმზე ნაკლები ხელფასი არ უნდა მიიღონ, მაგრამ კანონი არ უბრძანებს დამქირავებლებს მაღაროებში უეჭველად მუშაობა გააჩაღონ, ან მუშებმა მუშაობა დაიწყონ. პროექტს დროებითი ხასიათი აქვს და სამს წელს იმოქმედებს მხოლოდ. იმედი მაქვს იგი საქმეს მოაგვარებს. ოპოზიციის ბელადმა ბონარ-ლომ განაცხადა, მთავრობის პროექტი უბედურებასთან ბრძოლისა, თვით უბედურებაზე უარესიაო. იქ არ არის გარანტია, რომ ქვანახშირის წარმოება არ შემცირდება. მაღაროების მუშათა ორგანიზაციები იმდენად ძლიერნი აღმოჩნდნენ, რომ პარლამენტსა და მთავრობას თავისი მოთხოვნილებანი მიაღებინეს. ჩვენი დათმობა ამისთანა ორგანიზაციებს მადა აუშლისო. მაკდონალდმა განაცხადა, მუშათა პარტია ყოველ-ღონეს მოიხმარს პროექტის ამჟამადვე კანონად გადასაქცევადო.

ინგლისი და პორტა.

სტამბოლი. ინგლისის ელჩმა პორტას განუცხადა, სახელმწიფოებს კრიტეზე ჯარის გადაყვანა სურთო. გაზეთებს სპარსეთის საზღვრების გამო ატეხილ კამათის უთანხმოებად გადარჩენისა ეშინიათ. „ტანინი“ ამბობს, საშიში არაფერია, რახან საკითხის ჰააგის სასამართლოსათვის გადაცემა გადასწყვიტესო.

რუსეთი

ინგლისის გაფიცვის გავლენა.

რიგა. ინგლისის გაფიცვის გამო ქვა-ნახშირის-მრეწველებმა უარი განაცხადეს პირობის შესრულებაზე შესახებ ნახშირის ჩაბარებისა. ნახშირის ფასმა შესამჩნევად მოიმატა.

თეატრი და ხელოვნება

სალიტერატურო სამუსიკო დილა სახალხო სახლში.

ჰაი და ჰაი! მგონია ჩემამდინაც მოაღწია დილის, ან სა ამოს გამართვის რიგმა, რადგანაც, ვისაც შეეძლო, მგონი ყველამ უკვე იჯერა გული, მაგრამ, უბედურობა იმაშია, რომ ეხლა თან-და-თან ხალხი ნაკლებად ესწრება ხოლმე. ესრედ გახშირებულ დილა-საღამოებს და ვაი თუ ჩემს დილასაც, მონაწილეთა გარდა აღარავინ დაესწროს!.. აი, კვირას, 4 მარტს გამართულ დილაზედაც, სახალხო სახლის აუდიტორია ნახევრად ცარიელი იყო, თუმცა ეს დილაც შინაარსით არ იყო დასაწუნი. იგი ორ განყოფილებიდგან შესდგებოდა. პირველში, ბ. ილია ნაკაშიძემ წაიკითხა ლექცია: „ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებაზედ.“ გვეუბნებიან,-სთქვა ლექტორმა რომ სულის საფუძვლად სხეული უძევს, თითქოს სული იყოს სხეულის ზედნაშენი, რომ სული სხეულისგან წარმოშობილია. ადამიანის სულიერი ცხოვრება: გრძნობიერება, სინიდისი, გონება,-ყოველთვის განუყოფელია სხეულისაგან: სული და სხეული მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი.

ფიქრი, აზროვნება — ყოველთვის იყო, არის და იქნება მანათობელი ჩვენის ფიზიკურ ცხოვრებისა, იგი ჩვენი წინამძღოლია და ამიტომაც ფიქრის განვითარება ყოფილა მიზეზი, თუ ცვლილება რამ მომხდარა კაცობრიობის ცხოვრებაში; ადამიანის გაღვიძებული ფიქრი ყოველთვის წინ უძღვოდა კაცობრიობის პროგრესს. ადამიანის გაღვიძებულ ფიქრის წინაშე ვერაფერს გაწყობს, მთელი მსოფლიოს მხედრობაც რომ წინააღუდგეს.

ლექტორი გაკვრით შეეხო ქრისტეს მოძღვრებას და მის გარდუვალ მნიშვნელობას, გადავიდა ადამიანისგან ადამიანის დამონებაზე საზოგადოდ და კერძოდ შეეხო კაპიტალისაგან მშრომელ ელემენტის დამონებას; მოიხსენია გასულ საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში ყოფილი ზანგთა სასტიკი მონობა, თუ მაშინ ახლად მოვლენილნი კაპიტალისტები როგორ ეზიდებოდნენ აფრიკიდან გემებით ზანგებს ამერიკაში და იქ პირუტყვებთან ერთად ჰყიდნენ და შემდეგ როგორ მოხდა ადამიანის განვითარებულ ფიქრის წყალობით ზანგთა განთავისუფლება.

იმის დასახასიათებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას და თვით-განვითარებას, ცხოვრების პირობებს, ან თუ ადამიანს როგორ უჩლუნგდება გრძნობიერება შეჩვევისაგან, ფიქრის უმოძრაობისაგან, ლექტორმა მოიყვანა შემდეგი მაგალითი: მე მყავდა ერთი მეგობარი ბეითალი, რომელიც მოწმე გამხდარიყო შემდეგი საზარელ სანახაობისა: ერთხელ ის შესულიყუ დასათვალიერებლად ქალაქის საყასბოში და ენახა, რომ როდესაც ერთმა სალახმა ხარს ყელი გამოსჭრა, მაშინვე დეეწაფა და ხარბად დაუწყო სმა მჩქეფარე სისხლსაო. ამ სურათმა ისეთი საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ბეითალზე, რომ იმ დღიდან ხორცეული აიკვეთაო. ეს ასეც უნდა იყოს: იმ იდუმალმა ძალამ, რომელმაც გააჩინა მრავალგვარი სიცოცხლე ჩვენს გარშემო, უფლება არ მოგვცა ამ სიცოცხლის მოსპობისაო.

საზოგადოდ ლექტორის დედა-აზრი ის იყო, რომ სისხლის ღვრით კაცობრიობა ვერ მოიპოვებს თავისუფლებას, არამედ ყოველი ადამიანის ყურადღება მიქცეული უნდა იყოს თვით-შეგნების განვითარებისაკენ: გრძნობიერების გაფაქიზებით და აზრის განვითარებით წარმოსდგება კაცთა თავისუფლებაო...

საზოგადოდ ეტყობოდა ლექტორი ჩქარობდა და ამიტომაც უფრო სავსებით და გასაგებად ვერ მოასწრო განვითარება ლექციისა.

ლექციის შემდეგ დაიწყო სალიტერატურო განყოფილება. უნდა აღინიშნოს, რომ არც ეხლა დაესწრო მთელი წყება გამოცხადებულ მწერალ-პოეტთა, რომელთა თავმოყვარეობას ვიბრალებთ და აქ არ მოგვყავს მათი ვინაობა. მონაწილეთა შორის საზოგადოების ყურადღება მიიქცეს: გ. ქუჩიშვილმა — „ვიდექ მაღლობზე“ (ლექსი) და ახოსპირელმა: ნ. ბარათაშვილის ხსოვნას“ (ლექსი).

მდიდარი იყო მუსიკალური განყოფილება, სადაც ბევრი ნომრები იქმნა აღსრულებული. განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართველმა მომღერლებმა... ახალგაზრდა მომღერალს, ბ. კანდელაკს, შარშანდელს აქეთ წინსვლა ეტყობა იმისი მაღალი ხმა (ტენორი) ეხლა ბევრად სასიამოვნოდ ისმის და უწინდელი მოუხეშობა იმდენად აღარ ეტყობა. ის რამდენჯერმე გამოიწვიეს. სხვათა შორის იმღერა: „ოდეს მეწვევა. სევდა დამწველი“ და „დავრდომილი სნეული“. უფრო სასიამოვნო მოსასმენი ხმა (ტენორი) აქვს ახალგაზრდა მომღერალს ჩუბინაშვილსაც.

სამმა ძმამ კავსაძეებმა (ტრიო) მეტად მწყობრად და სასიამოდ შეასრულეს რომანსი: „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“.

ქუთათურმა მსახიობმა ბ. ნემო-მ ბევრი აცინა საზოგადოება წაკითხულ სცენებით; კარგი იქმნება, რომ იგი სიტყვების გამოთქმას დიდ ყურადღებას მიაქცევდეს.

მონაწილეობდა აგრეთვე რამდენიმე რუსი კარგი მომღერალი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ვინაობა დანამდვილებით ვერ გავიგეთ.

ა—ციხელი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

წერილი

დავით ჭელიძესა და მოსე ფირცხალაიშვილს:

ბ. ბ. როგორც პირველი, ისე მეორე სამედიატორო სასამართლომ, რომელიც მოწვეული იყო ჩვენ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მიზეზების გამოსარკვევად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის თქვენს წინაშე. თუ ამხანაგობის საქმე რიგიანად ვერ მოეწყო ამისი მიზეზი თქვენა ბრძანებით.

როგორც ეს პირველ სამედიატორო სასამართლომ დაადასტურა.

ნახეთ რა, ჩვენი ფირმის კვას „გემოს“ მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდებოდა თქვენ დაიხარბეთ და მაიძულეთ ნორმაზე მეტი დამემზადებინა, რამაც რასაკვირველია, ცუდი გავლენა იქონია კვასის ღირსებაზე.

მე, მოკლებულმა შესაფერ ბინის და ხელსაწყოს, ვერ შევსძელ გაზდილ წარმოებისათვის უწინდელი ღირსება შემენარჩუნებინა, და ამისათვის ამხანაგობის საქმე შეფერხდა. შემდეგ მოინდომეთ ჩვენი ფირმიდან გამევება და მოტყუებით როგორც ეს სცნეს თვით მედიატორებმა (იხ. სახ. გაზეთის № 543), ჩემი წილი გამიტანინეთ.

ამისათვის მე მედიატორები უფლებას მაძლევენ დავუბრუნდე ამხანაგობას. რაც შეეხება მედიატორების წინადადებას: „თუ ამხანაგები ვერ შეთანხმდებიან ფირმა „გემო“ ერთმა მხარემ შეისყიდოსო“, ამის შესახებ **ვაცხადებ**, რომ როგორც დამაარსებელი ფირმისა და მისი სულის ჩამდგმელი, არა ვარ თანახმა მასზე ხელი ავიღო და არა მსურს ჩემი უფლება სხვას მივყიდო.

მე, შევდივარ ამხანაგობაში როგორც სწორუფლებიანი წევრი და ჩემ ფუნქციებს განვაგრძობ.

თუ ამაზე ამხანაგები არ დამთანხმდებიან მაშინ ცხადია, ეს ფირმა როგორც ზნეობრივი ისე იურიდიული კანონითაც მე უნდა დამიბრუნდეს, რადგანაც მას ვაწარმოებდი მე ერთი წლის წინად ამხანაგობის დაარსებ მდე.

რომ მომავალში ამხანაგობის საქმე უფრო რიგიანად წავიდეს და საქმის შემაფერხებელ კონფლიქტების ადგილი არა ჰქონდეს, წინადადებას გაძლევთ: ავირჩიოთ მცოდნე პირები, დავავალოთ თვითეული ჩვენგანის ფუნქციების განსაზღვრა. ამას აუცილებლად ვთვლი ფირმის საკეთილდღეოდ და კიდევაც ვასახელებ ორ პირს დ. ე. კ—შვილს და გ. ც ძეს.

(1.1096.1) **მათე გორგილაძე.**

№ 4711
PARFUMERIE
F. MÜLHENS

სილამაზე
უმაღლეს
ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
=საპონი=
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.
ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რიგა.
დაარსებული 1792 წ.
ერთი ნაჭერი 25 კ.
ყველგან იშოვება.
Метцл. 28838.
(9.1055.3).

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II. კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ,

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს, 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—10)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—[illegible]
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა 1—18.
დიდუბისა—[illegible]

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487),
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ

განცხადებანი

ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა;
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.
საღამოთი:
მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.32)

კუპრიოლი
ხეების სიდამპლისა და დაჭიანებისაგან უზრუნველსაყოფი იყიდება „სნეულებათაგან ხის უზრუნველმყოფელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში“, მცხეთა, სახლი გეგეჭკორისა. წვრილ-წვრილად იყიდება მედროგეებთან. (4—286—1)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა“
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან. დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** (ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—2)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.